ცნობის ფურცელი

№ 2006 | შაბათი, 7 დეკემბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2006

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს „**მოამბე**“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ბანკის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკროსკოპიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამკურ. ჯიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სხვინაწვდისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

წარმოდგენა 21. ტელეფონი 617

✡ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✡

ქართული თეატრი

კვირას, 8 დეკემბერს, 1902 წელს

◆ მეცხრე **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ დაკლებულის ფასებით ◆

I

ციმბირელი

კომედ. 4 მოქმ. ავ. ცაგარლისა.

II

მოტია

ვოდევილი 1 მოქმედებად რუსულიდან.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ელ. ყარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, გოცერიძე.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „**ტარტიუფი**“. „**მეშჩანინი იდვორიანობაში**“ (ვ. აბაშიძის საბენეფისოდ) „**გრიგალი**“.

რეჟისორი **ვალ გუნია.**

ქბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ოლღინსკის ქუჩა, № 38. (ლო.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყაზნათის ქუჩა № 24 სახ. ერისთავისა. (წ).

საკონცერტო დარბაზში

არტისტიულ საზოგადოებისა

21 დეკემბერს

გაიმართება „**ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების**“ სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბ-ნნი ნიკოლაევი (პიანისტი), ბ. პალივკა (ვიოლონჩელი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბ. ბროჯი-მუტინი (მომღერალი); ქ-ნნი ბაბაევა (მომღერალი), ბბ. აკაკი, ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცების) ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება „ქართ. შ. წ. კითხვის საზოგადოებაში“ (თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—2)

საზღვარ-გარედ

გერმანია. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ კაცი რაც ხანში შედის, მით უფრო აკლდება გულის სიმხურვალე და აქტიურ გაბედულ მოქმედების სურვილი. ისიც ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ უმაღლეს მთავრობასთან დაახლოვებული, ამ მთავრობისაგან კარგად მიღებული და დაჯილდოვებული პირი უფრო და უფრო ემორჩილება მაღალ სფერის წინ ქედის მოდრეკას, „ძველის გზის“ დატოვებას და დათმობას, თუ ეს გზა მაღალ წრის სურვილის წინააღმდეგია.

მით უფრო მეტის თანაგრძნობის და პატივისცემის ღირსია ის პირი, რომელიც არც ერთსა და არც მეორე ჩვეულებრივ მოვლენას არ ემორჩილება.

სახელ განთქმული ისტორიკოსი მომზენი ეხლა ოთხმოცდა ხუთის წლის არის; გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე დიდი თაყვანის მცემელია მხცოვან მეცნიერისა. რომელი ჩვეულებრივი მომაკვდავი გაუძლებდა ორ ასეთ მძიმე გარემოებას და გაბედავდა მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას არც არავინ ეტყოდა საყვედურს ამისთანა პირს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მომზენისთანა პიროვნება ყურს არ უგდებს იმას, თუ სხვა რას იტყვის ან რას იფიქრებს, იგი თავის სინიდისსა და მოვალეობის გრძნობას ემორჩილება, და ამ სინიდისმა და მოვალეობის გრძნობამ მიიყვანა ოთხმოცდა ხუთის წლის მოხუცი მომზენი „თავისუფალ მოაზრეთა“ კრებაზე, მიუხედავათ თავის მხცოვანებისა, მაღალ წრეების უკმაყოფილებისა და ზამთრის ყინვა-ქარიშხალისა.

რისთვის მოვიდა მომზენი ხსენებულ კრებაზე? მხარი მისცეს ხალხის უფლებისათვის მებრძოლთ, გაამხნევოს ისინი და უთხრას—„განაგრძეთ თქვენის კეთილშობილი საქმე, ნუ შეუშინდებით ცილისწამებასა და დაცინვას! ბევრ სიმწარეს გამოსცდით, მაგრამ ბოლოს გამარჯვება მაინც თქვენი იქნება, რადგან, თუ თავისუფლება და სამართლიანობა არ იქნება, არ იქნება მატერიალური პროგრესი და არც ეროვნული დიდება. აქ იმიტომ მოვსულვარ, რომ მადლობა ვუთხრა მამაცად მებრძოლ ჩვენ წარმომადგენლებს. მათგან ნატვირთი საქმე მძიმეა: ისინი არიან დამცველები ხალხის იდეალურ მოთხოვნილებათა იმ დროს, როცა გამეფებულია მატერიალური ინტერესები, რომელნიც ულვიძებენ უპირატესობიან წრეებს სიხარბესა და გაუმაძღრობას, ბნელს ჰფენენ კულტურის დანიშნულებას და უფლებას. ჩვენი ეხლანდელი ცხოვრება ნამდვილი შინაური ბრძოლაა, და ამისი ბრალი ედება იმათ, ვინც ეხლა შეშფოთებულია არსებულ მძიმე განხეთქილების გამო... მთავრობა ქომაგობას უწევს ერთ წოდების ვიწრო ინტერესებს და წინააღმდეგია რეფორმებისა, რომელთაც უნდა განევრცოთ ერის თვით-მოქმედება. განა ეხლანდელი რეიხსტაგი გერმანიის ნამდვილი სარკე არის? ხალხს მე არ ვამართლებ სავსებით, ბრალი იმასაც ედება; ხშირად იგი ვერ ჰხედავს ნამდვილ მეგობრებს. მაგრამ ვისაც მეტი ძალა და უფლებ აქვს, ვინც მეტი იცის, პასუხის მგებელიც ის უნდა იყოს. უფრო უარესი უბედურებაც მოგველის, მაგრამ მე მრწამს, რომ დადგება დრო, როცა გლეხი მიხვდება, რომ იუნკერი მისი მეგობარი არ არის, როცა მუშა და ინტელიგენცია ხელი-ხელ გაყრილი იქმნებიან...“

სხვა მხრივაც იყო საყურადღებო „თავისუფალ მოაზრეთა“ კრება: გაუმაძღარი თავად-აზნაურობა, რომელიც მაგრად ზის ყველა სახელმწიფო თანამდებობაზე, კლერიკალისმი, რომელმაც ნიღაბი ჩამოიხადა და ქვეყანას დაანახვა, თუ როგორ უყურებს თავისუფლებას, აი ის მტერი, რომელსაც უნდა ვებრძოლოთო, ამბობდნენ თავისუფალი მოაზრენი. მტერი მარჯვნით არის და არა მარცხნითო. ეს იმის ნიშანია, რომ გერმანიის ეხლანდელ მთავრობის ვიწრო პოლიტიკამ, მიმართულმა მხოლოდ მდიდარ კლასის ინტერესების სასარგებლოდ, გამოიწვია ლიბერალურ და დემოკრატიულ ელემენტების დაახლოვება. „სიგიჟე იქმნებოდა, სთქვა ბარტმა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც გერმანიის მცხოვრებთა მეოთხედის წარმომადგენელია, განმარტოებულად დავტოვოთო: დიდია განსხვავება ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს შორის, მაგრამ ეს ხომ შორეულ მომავალ ეკონომიურ დამოკიდებულებათ ეხება, მაშინ როდესაც ეხლა მუშების პარტია და ჩვენ ერთნაირად ვთხოულობთ სოციალურ რეფორმებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია კიდევ—ერთნაირად ვიბრძვით პოლიტიკურ თავისუფლებისათვის. დიდ უბედურებად ჩავთვლიდი ჩვენის ქვეყნისათვის, განსაკუთრებით ჩვენის ინტელიგენციის და ბურჟუაზიისათვის, რომ ეხლანდელ სერიოზულ მომენტის დროს მუშების პარტია განმარტოვებული დარჩეს: ეს იქმნებოდა ლიბერალისმის გაკოტრების დამტკიცება, ხალხს მაშინ ექმნებოდა უფლება ეთქვა, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები იბრძვიან მამაცურად მის ეკონომიურ ინტერესებისა და პოლიტიკურ უფლებისათვის...“

მთავრობის მოქმედებისა და ცენტრის ტაქტიკის გამო გერმანიაში ჩნდება ლიბერალურ პარტიების bloc'ი, როგორც ეს საფრანგეთშია ეხლა, ხალხის არსებით ინტერესებისა და უფლების დასაცველად. „ვიწრო ინტერესების ალვირ-ახსნილმა პოლიტიკამ“ გამოიწვია მეტი დაახლოვება და დაკავშირება ოპოზიციონურ პარტიებისა.

მაკედონია. მიუხედავათ „გენერალ ზამთრის“ მძვინვარებისა, როგორც გაზეთები იხუნჯობენ, მაკედონიის მოძრაობა არ შეწყვეტილა. ამიტომ დიპლომატებმაც მეტი ყურადღება მიაქციეს ამ საქმეს და მოსთხოვეს ბრწყინვალე პორტას რეფორმების მოხდენა, თანახმად ბერლინის ხელ-შეკრულობისა. პორტა ჯერ უარზე იდგა, მერე კი გამოსცა ირადე მაკედონიის რეფორმების შესახებ. ყველა ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც თითქმის ყოველ წელს მეორდება. სულთანის გამოცემულ ირადეებით მთელის ბალკანეთის ტერიტორიის მოფენა შეიძლება,

ი
აგრამ ამითი ოდნავაც არ შემსუბუქებულა ბედკრულ მაკედონელების მდგომარეობა. არც ეხლა არის ამის იმედი, თუ მაკედონელ რევოლიუციონერებმა ჩვეულებრივზე მეტი სიმხნევე და გამძლეობა არ გამოიჩინეს და ამითი ნამდვილი ცეცხლი არ გააჩაღეს ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე. ცეცხლის ერთობ ეშინიათ ევროპის სახელმწიფოთა კონცერტს და შეიძლება მაშინ გადასწყდეს მაკედონიის დაუსრულებელი საქმე

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 6 დეკემბერს, **მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სახელობის** დღეს, წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში საქართველოს ექსარხოსმა გადაიხადა წირვა და შემდეგი პარაკლისი. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ.-ლეიტ. ფრეზე, კავკასიის კორპუსთა უფროსნი, გუბერნიისა და ზოგიერთ მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ტფილისის გუბერნატორი, ქალაქის მოურავის მოადგილე და სხვანი. ქალაქი დღისით მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

◆ დღეს მოხდება კავკასიის **მთავარ-მართებლის საბჭოს სხდომა**, რომელზედაც განაგრძობენ კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

◆ ხვალ, 8 დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება მოსკოვის **საარქეოლოგიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილებისა.

◆ **იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა მორიგი კრება** მოხდება ქუთაისში 16 დეკემბერს. კრებამ უმთავრესად ქუთაისის სასულიერო სემინარიის საქმეები უნდა განიხილოს.

◆ **სასოფლო მრეწველობის** საჭიროებათა გამოსარკვევ პროგრამის პირველ მუხლის შესახებ მოხსენების შედგენა და შემუშავება, როგორც გვქონდა აღნიშნული, მიენდო მთავარ მართებლის საბჭოს წევრს ნ. ა. სულთან-კრიმ გირეის. როგორც შევიტყეთ, ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის უკვე დაუმთავრებია მოხსენების შედგენა და ამ დღეებში განსახილველად წარუდგენს სამეურნეო საზოგადოებას.

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** კრება თავ. ვლ. მიქელაძის მოხსენების განსახილველად დანიშნულია სამშაბათს, 10 დეკემბრისათვის.

◆ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს გაადიდოს **ტფილისის პოლიციის** შტატი. ამ ჟამად პროექტი უკვე მზად არის; გარდა იმისა, რომ უნდა დაარსდეს პოლიცმეისტრის მეორე თანაშემწის თანამდებობა და მოემატოს ბოქაულთა თანაშემწეების რიცხვს, განზრახულია უბნის ზედამხედველთა რიცხვს 10 კაცი მიემატოს და პოლიციელთა რიცხვს—110 კაცი; ამასთანავე გადიდებული იქმნება პოლიციის სამმართველოს შტატიც.

◆ რადგანაც რობის ძალიან დაუგვიანდა **ფუნიკულიორის** ასაშენებლად აქციონერთა საზოგადოების დაარსება, ტფილისში, როგორც ხმა არის, აპირებენ ამ საქმის მოსაწყობად საზოგადოების შედგენას მთაწმინდის ადგილების პატრონთაგანა და ადგილობრივ კაპიტალისტებისაგან.

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭომ** ორშაბათს, 9 დეკემბერს, ძველ საქმეებს გარდა უნდა განიხილოს 11 ახალი საქმე. სხვათა შორის, საბჭომ უნდა აარჩიოს ხორცის დუქნების გამგე კომისია, განიხილოს ქალაქის ლომბარდის 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა.

◆ ქალაქის გამგეობა, როგორც აღვნიშნეთ, აპირებს **საკუთარ სტამბის** დაარსებას. ქალაქის მდივანი სტ. თ. ჭრელაშვილი უკვე ამთავრებს ხარჯთ-აღრიცხვას სტამბისათვის და ამ დღეებში განსახილველად წარუდგენს ქალაქის გამგეობას.

◆ დღეს, 7 ნოემბერს, **ხელოსანთა უსტაბაშებს** კერძო კრება ექნებათ დეპუტატის გროსის მოხსენების განსახილველად. როგორც აღვნიშნეთ, გროსმა წინადადება შეიტანა ხელოსანთა გამგეობაში, ნოქრებსა და ხელოსნებს განსაკუთრებული გადასახადი გააწერონ. ამ ფულით უნდა შესდგეს თანხა საზოგადოების სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. უსტაბაშთა გადაწყვეტილება განსახილველად წარედგინება ხვალ დეპუტატთა საზოგადო კრებას.

◆ ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, გარდაიცვალა მდიდარი **სომეხი ქველმოქმედი** ავეტის ჰუკასოვი, რომელმაც 130 ათასი მანეთი უანდერძა თურმე სხვა და-სხვა საქველ-მოქმედო და განმანათლებელ საზოგადოებათ; უმეტესი ნაწილი დაუტოვებია ეჩმიაძინის აკადემიისათვის. ეს ის ჰუკასოვია, რომელმაც ვანქის ტაძართან საეკკლესიო მუზეუმი გააშენა.

◆ დღეს, 7 დეკემბერს, სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საინტერესო საქმე ნიკოლოოზ რომანოვსკისა, რომელსაც **ლუბკოვის ქმრის მოკვლა ჰბრალდება**. რომანოვსკი მომრიგებელ შუამავლად ნამყოფია. იცავს რომანოვსკის პეტერბურგელი ვექილი გრუზენბერგი.

◆ გაზეთ „კაზბეკ“-ის სიტყვით, 26 დეკემბერს კავკავში გაიმართება ჩვეულებრივი **ქართული საღამო** „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის სკოლის სასარგებლოდ.

◆ ხვალ, 8 დეკემბერს, „ტფ. სობრანიე“-ს დარბაზში გაიმართება **დრამატიულ-მუსიკალური საღამო** მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ტფილისის საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **ქალაქის სასანიტარო-საექიმო ინსპექციის** ცნობებით, უკანასკნელ კვირას განმავლობაში ტფილისში 15 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; მათგან: 4 ყვავილით, 4 ქუნთრუშით, 5 დიფტერიტით, 1 სახადით და ერთიც წითელათი.

◆ ხმ. სოსიანმა გუშინ განუცხადა ქალაქის გამგეობას—გადაიდვას საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდზე გადასახადის აკრეფის გასაცემად, რადგან გაზეთებში განცხადება მხოლოდ 6 დეკემბერს დაიბეჭდა (ვაჭრობა-კი 7 დეკემბერს არის დანიშნული) და მსურველნი ვერც პირობათა გაცნობას მოასწრებენ და ვერც გირაოს ფულს მოამზადებენ ერთ დღეში. ამ განცხადებას გამგეობა დღეს განიხილავს.

◆ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად ტფილისის ქალაქის გამგეობას ორშაბათს ექნება სხდომა, რომელსაც დაესწრებიან საქალაქო დაწესებულებათა ყველა გამგენი.

◆ ტფილისში კონსულის ქუჩაზე ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის სახლის ასაშენებელ თანხის მოსაპოვებლად, როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ქალაქის სახლის დაგირავება 70,000 მანეთად. სახლის დაგირავება მიენდო იურისკონსულტის თანაშემწეს ბ-ნ ქანანოვს. ამ დღეებში ქანანოვი შეეკითხა გამგეობას, შემატყობინეთ სულ გამოვიტანო 70,000 მან. ბანკიდან თუ ნაწილ-ნაწილად, ამასთანავე ფულად თუ ობლიგაციებადო. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს მოხსენება 5 დეკემბერს და გადასწყვიტა მიენდოს ქანანოვს ამ ჟამად ბანკიდან გამოიტანოს მხოლოდ 20.000 მან. ხოლო დანარჩენი 50,000 მან. 1903 წლის მარტში ობლიგაციებადო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, მომავალ სამოსწავლო წელს ოთხ პროგიმნაზიულ კლასს მეხუთეც მოუმატოს. ამისათვის ახალი ხარჯი არ იქმნება საჭირო: მხოლოდ უნდა დაიხუროს პირველ პროგიმნაზიულ კლასის პარალელური განყოფილება და რაც იმას უნდებოდა, მეხუთე კლასს მოხმარდეს. ამგვარადვე აპირებენ მომავალში მეექვსე კლასის გახსნასაც მეორე პროგიმნაზიულ კლასის პარალელურ განყოფილების გაუქმებით. შემდეგი კლასების გახსნისათვის კი საჭირო იქმნება სხვა რამ წყაროს აღმოჩენა, რაც, თუ კი მოინდომებენ, ადვილი მოსახერხებელი იქმნება. საბჭომ თავისი დადგენილება სკოლის სამზრუნველო კომიტეტს წარუდგინა, რომელმაც მოიწონა იგი.

◆ წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის სარედაქციო კომისიამ წინადადება მისცა გამგეობას გამოსცეს თავ. ილია გ. ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერები, რომელთაც მუდმივი ხასიათი აქვთ. გამგეობამ თანხმობა განაცხადა და დაავალა სარედაქციო კომისიას ამ წერილების შეკრება.

◆ ამავე ამხანაგობის გამგეობამ წერილები დაუგზავნა სხვა-და-სხვა დაწესებულებას და კერძო კაცებს და სთხოვა, ვისაც რამ ჟურნალ-გაზეთის გამოწერა სურს, ამხანაგობის კიოსკის საშუალებით გამოიწეროს.

◆ ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება დანიშნულია 9 დეკემბრისათვის. სხვათა შორის, ამ კრებაზე საბჭომ უნდა განიხილოს ნოქრების თხოვნა იმის შესახებ, რომ კვირასა და თორმეტ უმთავრეს დღესასწაულში სრული თავისუფლება მიეცეთ ნოქრებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ მომავალის წლიდან შემოღებული იქმნება სამეფო კარის სამინისტროს ახალი შტატები, ამიტომ ამ სამინისტროს ამიერიდან უფრო მეტი ფული დასჭირდება. ძველ მოხელეებსაც ჯამაგირს უმატებენ.

◆ სენატმა განმარტა, რომ ქალაქის თვითმმართველობებს დასაფასებელ გადასახადების მოკრება შეუძლიათ მხოლოდ მამულების დაფასების შემდეგ და არა საბჭოს დადგენილების შემდეგაო.

◆ 2 დეკემბრიდან სამხედრო-სამკურნალო ინსტიტუტში დაიწყება იმათი გამოცდა, ვისაც უნდა მკურნალობის დოქტორის ხარისხის მიღება. სულ გამოსაცდელია 146 კაცი, ამათგან 68 სამხედრო ექიმია.

◆ მეტად რეცნაური უმაწვილი კაცი შეუპყრიათ შარშან ვარშავაში. ეხლა ხან გამოძიება დამთავრდა და ბევრი რამ გამოირკვა ამ კაცის წარსულიდან. დაპატიმრებული ჯერ თავის თავს ლიტვინენკოს ეძახდა, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ დ. ზაგორანსკი ყოფილა. ზაგორანსკის სულ ორი კლასი გაუთავებია. შემდეგ აქა-იქ უვლია და აქ ჩვენში, ახალქალაქში, ამოუყვია თავი შეურთავს აქ ხნიერი ქართველი ქალი; ჰგონებია დიდი ფული აქვსო; მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ გაქცეულა. გვარი გამოუცვლია და ნედზელსკის სახელით კავკასიის რკინის გზაზე შესულა. ამ დროიდან იწყება ხეტიალი ზაგორანსკისა. როგორღაც ამ მოხერხებულ კაცს შეუძენია ყალბი ატესტატი შტეიგერობისა და მაღაროებში დაუწყია მუშაობა. შემდეგ სხვა ატესტატებიც უშოვნია,—ჯერ ტეხნიკოსისა, შემდეგ ინჟინრისა. ნიჭიერ და შრომის მოყვარე ზაგორანსკის ამა თუ იმ ხელობისათვის საჭირო ცოდნაც შეუძენია, შეუსწავლია ორი ევროპიული ენა და ყველა ამის მეოხებით ინჟინრის თანამდებობა მიუღია სარატოვში. ამ დროს ზაგორანსკი ინჟინერ რომერსის სახელს ატარებდა, განყოფილების უფროსის თანაშემწედ ყოფილა, აშენებდა თურმე ხიდებს, რკინის გზებს და სხვა. შემდეგ ყალბი დაბადების მოწმობაც უშოვნია და მეორედ ცოლი შეურთავს, სარატოველ ვაჭრის ქალი. მაგრამ მოსულა სარატოვში ნამდვილი რომერსი და ზაგორანსკიც გაპარულა. სარატოვიდან იგი ზლატოუსტში წასულა, მაგრამ იქიდანაც მალე გაქცეულა. შემდეგ ზაგორანსკი ინჟინერ კეტრიცის სახელით ტამბოვსა და ვორონეჟში ყოფილა. მერე ინჟინერ ბაკის სახელით გზათა მინისტრს წარუდგა და ადგილი სთხოვა თურმე. მალე ზაგორანსკის სამხრეთ რუსეთში ამოუყვია თავი, სადაც სხვა გვარს ატარებდა და სხვა-და-სხვა თანამდებობას ასრულებდა. მერე გორჩაკოვის სახელით ამ ვაჟბატონს რიბინსკში საინჟინერო კანტორა გაუხსნია. მაგრამ იქიდანაც გაქცეულა,

---

ფელეტონი

თვიური კახეთისა

ღვინის მოსავალი კახეთში და „გლეხთა მოკეთენი“.—ალავერდობა.—სირაჯებისა და ფულის გამსესხებელთა ხრიკები.—არც ნაკურთხნი ჩამორჩნენ უკურთხებს.—ქურდობა, ამ „ხელობის“ ოსტატნი და ნასწავლნი.—ბულვარის კომიტეტის აზრი.

ენკენისთვეშივე გავრცელდა ხმა, რომ კახეთში დიდი მოსავალია ღვინისაო. ამაში დღევანდლამდე არწმუნებენ მოსავლის პატრონს ისინი, ვინც მოსავალს გარს უვლიან. კიჟინი და განგაში ღვინის უხვ მოსავალზე იმდენი იყო, რომ ბევრმა გულ-უბრყვილომ მართლაც დაიჯერა. ალაზნის ველს, რომელზედაც გაშენებულია კახელების ვენახები, სიგრძე 98 ვერსი აქვს, უხვი მოსავალი მარტო 37 ვერსზე იყო, ბევრგან სხვაგან საშუალოზედაც ნაკლები იყო. ზოგგან ვენახმა ისე ცოტა ნაყოფი მოიტანა, რომ პატრონებმა დაუკრეფავ ვენახებში საქონელი შერეკეს, ბალახს მაინც გამოვრჩებითო. მართალია, ზოგგან დღიურზე 192—300 ვედრო ღვინო მოვიდა, მაგრამ ზოგგან არც 24 ვედრო მოსულა. უკანასკნელის მიზეზი მრავალია, უმთავრესი-კი ორი: ერთი—8 და 13 აპრილის ყინვა, მეორე—ვენახების უწამლობა.

კახელმა აქამდე ვერ შეისწავლა წამლობა და ვერ დარწმუნდა იმისს აუცილებლობას. მართალია, ყველანი სწამლობენ შაბიამნით, მაგრამ უმრავლესობა ერთხელა სწამლობს. რაკი გლეხი დაინახავს, რომ ერთხელ ნაწამლი ვენახი მშვენივრად ბიბინებს და ყურძენიც საკმაოდა აქვს გამოტანილი, ჰგონია, ამას თუ არ სეტყვა, სხვა აღარა დააზარალებს-რაო. ის კი არა, ობი ნელ-ნელა ვრცელდება (ამას შეუჩვეველი თვალი ვერ ამჩნევს) და დღითი-დღე სუნთქვას უხუთავს ვაზს. ამასთან ნაცარიც ეპარება მტევნებს: ჯერ გამოჩნდება ვენახში ერთს ან ორს ვაზზე. ორი სამი ვაზი საცა უნდა იყოსო, ჰფიქრობს პატრონი და სრულებით არა ფიქრობს ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლას. როცა ნაცარი მოედება ვენახს, მხოლოდ მაშინ დაფაცურდება და სცდილობს როგორმე გოგირდი შეიძინოს. გოგირდიც ღირსებით ათას ნაირია, ფუთი 1 მ. 10 კ.—2 მან 20 კაპ. ღირს. რა ჰქნას გლეხმა? გოგირდი ექვს აბაზადაც არის, რვა აბაზადაც და თერთმეტ აბაზადაც და ყველას გოგირდი ჰქვიან. საზოგადოდ კახელ გლეხის ჯიბე ისეთი თვისებისაა, რომ იაფ ფასიანს უფრო შეიფერებს, ვიდრე ძვირფასიანს. ყიდულობს იაფ-ფასიან გოგირდს და ისიც იმდენს, რომ შეაყაროს ერთხელ. ამით დაჯერებული, მიდის მინდორში. ვენახში-კი ჯერ მტევნები თხელდებიან შეუმჩნევლად, მერე ჩერდება ზრდა მარცვლებისა, იშრიტება და კუფხალი-კუფხალზე ხმება. რაც მიახწევს და წიფდება, ისიც პირველ წვიმის დროს უცებ ივსება, პატრონს ჰგონია, ახლა-კი მეშველა, გამობრუნდა ვენახიო; ის კი არა, მეორე-მესამე დღეს გავსებული მარცვლები სკდება და მძიმე-მძიმედ იშრიტება, ვიდრე სრულიად არ გახმება.

იქნება იცის კიდეც გლეხმა, რომ გოგირდით წამლობა მეორედაც უნდა, მაგრამ ერთხელ ნაწამლმა რო არა არგო-რა, მეორედ ხარჯს ერიდება. ისკი არც გლეხმა იცის და არც გოგირდის გამყიდავმა, რატომ არ არგო. რასაკვირველია, არიან იმისთანა შორს-გამჭვრეტელნი გოგირდის გამყიდავნი, რომ იციან, რატომ არ არგო გოგირდად წოდებულმა წამალმა, მაგრამ ამისთანანი ისე ბევრნი არ არიან, როგორც ამბობენ. ვინცკი წელს შაბიამნით ორჯელ-სამჯერა და გოგირდით არა ნაკლებ რვა ჯერისა უწამლა, მოსავალიც მოუვიდა; მაგრამ ამისთანა ბედნიერი ცოტაა ალაზან გამოღმა, გაღმა კი, სადაც ვენახები არ დასძრა, კარგი მოსავალი მოუვიდა, რადგანაც გოგირდით ბევრჯელ წამლობა საჭირო არ არის. წელს კარგ ფასად გაიყიდა ჭაჭა-თხლე.

ალავერდობამ მწყობრად და მშვიდობით ჩაიარა, როგორც ყოველთვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წელს მეტად ნაკლები ხალხი დაესწრო. ამისი მიზეზი დიდი ხანი იძია ესრედ წოდებულმა თელავის ბულვარის კომიტეტმა, დიდი კამათი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიკვლია.

კახეთში ღვინის უხვ მოსავალზე გავრცელებულმა ხმებმა და სხვა ადგილებში ღვინის მოუსავლობამ ღვინის მყიდველები გაამრავლა. ჯერ, რასაკვირველია, ქიზიყს მოედვნენ მყიდველნი. იქ გლეხის ღვინის ფასი ვედრო ოთხ აბაზზედ ჩამოიყვანეს. შეჰყვნენ გლეხს ღვინოებიდან და სხვებისაც ვედრო 1 მან. და 1 მან. და 40 კაპ. დაიკვეთეს. დიდი ზვრების ღვინო ვედრო 1 მან. 66 კაპ. გაიყიდა. ვაჭრები თელავის მაზრამდისაც ამოვიდნენ, მაგრამ ფასებს აღარ უმატებენ. ასეთს მდგომარეობაში ჩააყენა კახელი უხვმოსავლიანობის გავრცელებულმა ტყუილმა ხმებმა. გლეხი ეფიცებოდა ვაჭარს, კაცო, წამლის ფასიც არ მომსვლიაო, ეუბნებოდნენ, შენ არ მოგსვლია და აგერ იქითა სოფელში ჰურჭელს ველარა შოულობენ, რომ ჩაასხანო ჩვენი რა ბრალია, ჩვენ ხომ არ მოგვიგონია, რაც ბევრია, იაფად უნდა გაჰყიდო,

მოუვლია პოლონეთი, ციმბირი, მანჯურია და ბოლოს შეუშურიათ კიდეც. ზაგრანსკის სულ 15 გვარი უტარებია.

პრესსა

როდესაც განაპირა ქვეყნებში რომელისამე რეფორმის შემოღების შესახებ დაიწყებენ ლაპარაკს, მოწინააღმდეგენი, სხვათა შორის, იმ საბუთსაც ასახელებენ რეფორმის წინააღმდეგ, რომ განაპირა ქვეყნის ხალხი და საზოგადოება მომზადებულნი არ არიან რეფორმისათვისო. ასეთი საბუთი ხშირად მოჰყავთ, მაგალითად, როდესაც ერობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. სად გყავთ მოღვაწენი, რომელთაც ერობაში მუშაობა შეეძლოსთო? ამ საკითხზე და ამ უცნაურ საბუთზე მშვენიერ პასუხს აძლევს „სიბირსკაია ჟიზნ“-ში გ. პოტანინი იმათ, ვინც წინააღმდეგნი არიან ციმბირში ერობის შემოღებისა. პოტანინი სწერს:

> საზოგადოებრივ წესწყობილების ძველი ფორმები და წესები ჰმალავენ ხოლმე საზოგადოებრივ ძალებს, ნებას არ აძლევენ მათ გამოიჩინონ თავისი უნარი და მომზადებულობა. ისტორიას არა ერთხელ უჩვენებია მაგალითი, რომ, როდესაც სადმე რეფორმა შემოაქვთ და თავისუფლებას აფართოვებენ, უცბად ჩნდება ნიჭიერი და შესანიშნავი მოღვაწე. ვინც ამტკიცებს, რომ ციმბირში ერობას მოღვაწეები არ ეყოლება, მხედველობაში არ იღებენ ხსენებულს გარემოებას. იმის თქმა, ვითომც ციმბირში არ არიან მოღვაწენი, რომელთაც საზოგადო მოღვაწეობისადმი ლტოლვილება არ ჰქონდესთ, შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თავის ცხვირის წინაც ვერაფერს ჰხედავს. საკმარისია გავიხსენოთ ციმბირის ინტელიგენციის მოღვაწეობა სხვა-და-სხვა ასპარეზზე, რომ ვსთქვათ —ამ ინტელიგენციას ერობაშიაც შეუძლია თავი ისახელოს. აიღეთ კიდევ გლეხობა: რამდენია მათში ისეთები, რომელნიც თავისავე თაოსნობით აარსებენ სკოლებს, ბიბლიოთეკებს და სხვ... ასეთები მარტო გლეხობაში კი არ არიან, არამედ ციმბირის მკვიდრთა შორისაც.

შემდეგ ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ, თუმცა ციმბირში ერობა არ არსებობს, მაგრამ ბევრი საერობო საქმე საზოგადოებას უკისრია და აწარმოებს მათ მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის არც ფულის შეგროვების ნება აქვს, არც გადასახადის დაწესებისა, არც სხვა უფლება-უპირატესობა.

> მაგალითად: ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმე, რომელიც შიდა-რუსეთში ერობას აწევს კისერზე, ციმბირში წერა-კითხვის საზოგადოებათ უკისრიათ, რომელნიც არსებობენ საგუბერნიო და ხშირად სამაზრო ქალაქებშიაც; ხალხის ჯანმრთელობის საქმე საზრუნავად გაუხდია ექიმთა საზოგადოებათ; სასოფლო-სამეურნეო და სასოფლო ეკონომიური საქმეები სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ აუღიათ თავის-თავზე. ყველა საზოგადოებათა წევრების რიცხვი მცირეა მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით, საშუალებაც ცოტა აქვთ და ფულის გაწერის ნება არ მოეპოვებათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც გაუკეთებიათ არა ერთი და ორი საზოგადო საქმე. აი ეს მოღვაწენი იქმნებიან ციმბირის ერობის მოღვაწენიც...

ესევე შეგვიძლია ვთქვათ ჩვენც ჩვენის ქვეყნის შესახებ და უფრო მეტის უფლებითაც, რადგან ჩვენში მოქალაქობრივობა უფრო განვითარებულია, ვიდრე ციმბირში, და თვითმმართველობას ჩვენში უფრო მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული, ვიდრე იქ.

⁂

„პეტერ. ვედომ.“-ს № 329-ში დაბეჭდილია ქრისტეფორე მამაცაშვილის წერილი „როგორ უნდა იქმნას უზრუნველყოფილი მშვიდობიანობა ევროპაში?“ ავტორი აღნიშნავს მშვიდობიანობის დიად მნიშვნელობას ხალხთათვის და ამტკიცებს, რომ ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლად თავდაპირველად საჭიროა გადაწყდეს ეროვნული საკითხი, საჭიროა დიდთა სახელმწიფოთ კანონიერად იცნონ და დააკმაყოფილონ ეროვნული მისწრაფებანი სხვა-და-სხვა ერთა. მხოლოდ მაშინ შეიძლება უზრუნველყოფილ იქმნას საერთაშორისო მშვიდობიანობა, როდესაც მოისპობა ხსენებული დაბრკოლება, ესე იგი, როდესაც მე-XIX საუკუნეში წამოყენებული ნაციონალური იდეა სასურველად იქნება განხორციელებულიო. შემდეგ ავტორი ეხება რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოს თავის განვითარებისათვის ეჭირვება ოკეანესაკენ გზის გაკაფვა; ამისათვის კი სამხრეთისაკენ უნდა გაიწიოს, დაიპყრას მცირე აზია და გამაგრდეს სპარსეთის ყურეში, რითაც გზას გაიკაფავს ხმელთა შუა ზღვისკენაცაო. რასაკვირველია, დასძენს ამას ავტორი, რუსეთმა არ უნდა მოსპოს შემოერთებულ ერთა თვითმოქმედება და ეროვნული თავისებურობაო. ავსტრო-უნგრეთმა უნდა შექმნას ფედერატული სახელმწიფო სლავიანთა და ყოველს ნაწილს თავისუფალი განვითარება უნდა მისცესო. თუ სხვა სახელმწიფოთაც ასე გადასწყვიტეს ეროვნული საკითხებიო, მაშინ შეიძლება ევროპა ნამდვილად შეეცადოს საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებასაო.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

(დასასრული)*)

რუსეთში სახალხო კრედიტის საქმეს თითქმის 1803 წლიდან შეუდგნენ. 1867 წელს რუსეთში 2782 დამხმარებელი კასსა იყო. ამ კასსებმა აწარმოეს 8,772,787 მან. აქედან 2,032,053 მან. სამინისტროს მიერ იყო გადადებული, 3,487,247 საწევრო და დანარჩენი ნასესხები. რადგანაც საქმეს ვერ გაუძღვნენ, დამხმარებელ კასების მდგომარეობა თანდათან დაქვეითდა. სახალხო კრედიტი სამოციან წლებიდან უკეთ მოეწყო პოლონეთში. წარსულ საუკუნის დასასრულ იქ 1220 შემნახველ-გამსესხებელი კასსამდე ითვლებოდა. ძირის თანხა უდრიდა 1,416,957 მან. ხოლო წმინდა მოგება ამ კასებისა უდრიდა 6.413.502 მან.

1895 წელს გამოცემულ წესების ძალით ბანკები გამრავლდა, ასე რომ 1901 წელს რუსეთში 304 ბანკი ითვლებოდა. ამას გარდა მრავალი სხვა შემნახველ-გამსესხებელი კასსაც მოქმედებდა, მაგრამ სახალხო კრედიტი კიდევ მაინც საოცნებო იყო. 1895 წლის 1 ივნისს გამოიცა წესდება წვრილ-სახალხო კრედიტის მოწყობის შესახებ. თუმცა ამ წესდებამ ცოტა გაადიდა დაწესებულებათა რიცხვი, მაგრამ უმრავლესობა მათგანი მეტად ცუდ გარემოებაში ჩადგა. ამა მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის რუსეთში შემნახველ გამსესხებელი კასსა იყო 842, საკრედიტო 118 და სასოფლო ბანკი 653, სულ 1614. ფინანსთა სამინისტროს გამოანგარიშებით, მთელი კაპიტალი წვრილ-კრედიტის საჭიროებათათვის უდრის 69 მილიონ მანეთს, ასე რომ ორთა შუა თითო მცხოვრებზე მოდის 54 კაპ. მაშინ, როდესაც გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში 8 მან. მოდის თითო მცხოვრებზე, და იტალიაში 6 მან., გარდა შემნახველ-გამსესხებელ კასების თანხებისა. მთელის წარსულის საუკუნის მოქმედების მიუხედავად რუსეთის შიდა გუბერნიებში წვრილმა სახალხო კრედიტმა ფეხი ვერ მოიდგა.

კავკასიაში სამინისტროს ცნობებით არსებობს 38 წვრილი საკრედიტო დაწესებულება, აქედან 24 ქუთაისის გუბერნიაშია. ჩემის აზრითაო,— სთქვა მომხსენებელმა, დღეს ქუთაისის გუბერნიაში 4—5 ამხანაგობაა უფრო ღონიერი და თვალსაჩინო. ტფილისის გუბერნიაში იყო 15 ამხანაგობა და ყველანი გაქრნენ თითქმის. ამნაირად წვრილმა კრედიტმა კავკასიაშიაც ვერ მოიდგა ფეხი.

ფინანსთა სამინისტრო მრავალ საშუალებას ასახელებდა და ასახელებს წვრილ-კრედიტის გასაძლიერებლად, მაგრამ თვითონ არა სწამს ამ საშუალებათა ნაყოფიერებაა. სამინისტროს აზრით, ვიდრე თვით-მოქმედება არ გაძლიერდება და კერძო ინიციატივა არ დამტკიცდება, მანამდე წვრილი კრედიტი ფეხს ვერ მოიკიდებს და სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. კავკასიაში წვრილ-კრედიტის გაძლიერებას ხელს უშლიდა როგორც საზოგადო, ისე კერძო, ადგილობრივ მიზეზები. კერძო მიზეზებს შორის უმთავრესი ის არის, რომ კავკასიაში ერობის დაწესებულებანი არ არსებობს.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა ის, თუ როგორ უნდა ემოქმედოს საქმეს და როგორ მოეწყოს წვრილი კრედიტი. იმისის აზრით, ეს საქმე მთავრობამ უნდა იკისროს. მთავრობამ უნდა დაარსოს კავკასიის გუბერნიებში მთავარი დაწესებულებანი, საიდანაც წვრილი კრედიტი უნდა გაიცეს. თავ. მიქელაძის აზრით, საჭიროა კრედიტის უზრუნველ საყოფელად ცნობილ-იქმნეს მსესხებლის შრომის ძალა და მამულ-დედული. სესხი უნდა გაიცეს ორის სანდო კაცის თავდებობით; ფულის გადასახდელ ვადად უნდა დაინიშნოს 12 თვე. მაზრები გაიყოს რაიონებად ისე, რომ თითო რაიონში 5000 მოსახლე მეტი არ მოჰყვეს. თითოეულს რაიონში დაინიშნოს თითო აგენტი. ათოეულს სოფლის საზოგადოებასთან უნდა დაარსდეს საბჭო აგენტის თავმჯდომარეობით, სადაც განხილულ იქმნება განცხადებანი კრედიტის მიღების შესახებ. წვრილის კრედიტის საგუბერნიო სამმართველონი დაექვემდებარებიან ფინანსთა სამინისტროს. სამმართველო უნდა შესდგეს გამგეობისა და საბჭოსაგან. საბჭოში წარმომადგენლად იქმნებიან საგლეხო საქმეთა საკრებულოს ერთი წევრი, ადგილობრივ ბანკების გამგენი, სახაზინო პალატის გამგე, გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავნი მომრიგებელნი შუამავალნი და მაზრის უფროსი. თითო გლეხის ოჯახს სესხად უნდა მიეცეს 10 მან.

დასასრულ თავ. მიქელაძემ სთქვა: ჩემ მიერ დასახელებულ საშუალებებს რომ ბედმა გაუღიმოს და განხორციელდეს, გამართლდება ის ოცნება, რომელსაც ამ 8 წლის წინად შევხაროდი. სხვათა შორის, საურთიერთო სამეურნეო კრედიტის დაარსების დღეს ვსთქვი: „ჩვენი სურვილია ღრმად ჩავკვირდეთ სოფლის მდგომარეობას, დავუახლოვდეთ მწარმოებელს, ღარიბ მშრომელი კაცის ქოხს, წვრილ მიწათ-მოქმედის სახნავ მიწას და იქ ადგილობრივ გავუწოდოთ ხელი დახმარებისა.“ ცხოვრების ეხლანდელ პირობათა გამო ვერც ერთი კერძო საკრედიტო დაწესებულება ვერ აასრულებს ამ წმინდა საქმეს; იმასი შესრულება შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოსაო.

თავ. მიქელაძის მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

ი. ქუთათელაძე თავ. მიქელაძე ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს ჩვენში დაარსებულ ამხანაგობებს. ეს ამხანაგობები ისე რიგიანად მოქმედებენ, რომ ჩვენს პირობებში უკეთესი არც-კი შეიძლება. ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად, ამ ჟამად 21 ამხანაგობაა და ყველას სასურველად მიჰყავს საქმე. ამხანაგობებმა ფეხი მოიდგეს უფრო მას შემდეგ, რაც ხალხში წერა-კითხვა გავრცელდა და ნელ-ნელ განათლებამ მოიდგა ფეხი. ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, ვეცადოთ შემოვიღოთ ისეთი ამხანაგობანი, რომელთა წესდებაც მთავრობამ გამოსცა ამ ბოლოს დროს. ასეთ საკრედიტო საზოგადოების დასაარსებლად წევრნი პაის ფულს არ იხდიან და მთავრობა ეწევა სამოქმედო თანხის შესადგენად. კარგი იქნება, ამ დაწესებულებისათვის მოგვცეს მთავრობამ ის ერთი მილიონი მანეთი, რომელიც ტფილისის გუბერნიის გლეხობასა აქვს შენახული.

ა. ნატროშვილი უმთავრესად წინააღმდეგია თავ. მიქელაძის მიერ დასახელებულ დაწესებულებისა იმის გამო, რომ უმრავლესობისათვის იგი ხელმისაწვდომი არ იქნება.

საკოვის აზრით, ვიდრე ერობის დაწესებულებებს არ შემოიღებენ, მანამდე წვრილ კრედიტის საქმეს ვერა ეშველება. ყოველ შემთხვევაში საჭიროა კომისია აირჩიონო, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, როგორ მოეწყოს ეს საქმე.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. ფინანსთა სამინისტრო თვით ასახელებს, რომ საუკეთესო საშუალება წვრილ-კრედიტის მოსაწყობად ხალხში თვით მოქმედების დამტკიცება და განვითარებაა. თავ. მიქელაძე კი გვეუბნება, ნიადაგი არ არის და მთავრობა უნდა დაგვეხმაროსო. გვირჩევს დავაწესოთ საგუბერნიო წვრილ-კრედიტის სამმართველო, რომელმაც მაზრებში აგენტები უნდა იყოლიოს და სხვ. არსად, არც რუსეთსა და არც ევროპაში ასეთი დაწესებულებანი არ არსებობენ. ევროპაში კრედიტის გავრცელებასა და რიგიანად განმტკიცებას ხელი შეუწყო ხალხის თვითმოქმედებამა და ადგილობრივმა ინიციატივამ. ჩვენშიაც ასეთსავე ღონისძიებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეხლა ის აღარ არის, რაც 30—40 წლის წინად იყო.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2005.

თორემ მერე მაგ ფასის მომცემსაც ველარ იშოვნიო.

ამავე ხმების გავრცელებამ დააფაცურა „მოჭირნახულე“ ფულის გამსესხებელნი. გამოსძებნეს რამდენჯერმე გადახდილი და გასტუმრებული ბარათები და „ლისტები“ და მიადგნენ მოსავლის პატრონს, ახლა კი დროა გავსწორდეთო. ზოგგან ბოქაულის უწყებას ჰგზავნიან და ვადამდის თვითონ მირბიან შინაურულად მოსარიგებლად, რა არის, ბოქაული რომ წავიყვანო, ვაი თუ ბათილამები შენახული ჰქონდეს და მახეში გავებაო. ურიგდება შინაურულად, ართმევს რამდენჯერმე გამორთმეულს, მოდის და ბოქაულიდან აღმასრულებელი ფურცელი უკანვე მიაქვს. ამისთანა შემთხვევები ისე გამრავლდა, რომ ნაკურთხებიც აიყოლიეს უკურთხებმა. ერთ ამათგანს, რომელსაც მიენდო მახლობელი ნათესავი, უპატრონო ქვრივი ერთის ობლით, საკუთარი სამკვიდრო სახლი ობლისა დროებით თავის სახელზე ჰქონდა. ამ დალოცვილმა ნაკურთხმა მცირე ხნის შემდეგ ქვრივი ობლითურთ სახლიდან ბოქაულის შემწეობით განდევნა და ამ ნაირად დაემსგავსა იმათ, ვინც “არცა სთესვენ, არცა მოიმკიან, ხოლო შეიკრებენ საუნჯეთა თვისთა“. ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში იყო ამ ზამთარში საკუთარი სახლიდან განდევნილი ქვრივი ობლით, რომ სხვა რჯულის კაცმა შეიბრალა და მისცა თავშესაფარი დროებით და სამადლოდ მოუკრიბეს რამდენიმე მინანთული შიმშილით სიკვდილისაგან გადასარჩენად.

ბევრნაირი ქურდობა გამოსცადა კახეთმა ამ შემოდგომაზე, მაგრამ ნოემბერში მოხდა კიდევ იმისთანა, რომლის მსგავსიც ჯერ არ გამოუცდია. თვით ქ. თელავში ყოფილან ნაქურდლის მიმღებნი და უკანონოს დამკანონებელნი: მოიყვანს ლეკი ნაქურდალ ცხენს, ესენი გამოართმევენ, აქავე დასწერენ დალისტნის სოფლის საზოგადოების მამასახლისის სახელით, რომ ამა და ამ ნიშნების ცხენი საკუთრებაა ამა და ამ კაცისა, ე. ი. ქურდისაო. ამ მოწმობაზე არის ბეჭედი მამასახლისისა. შინაარსი მოწმობისა არაბულადაც იწერება და რუსულად დაწერასაც არ ერიდებიან. წაიყვანენ ნაქურდლის მიმღებნი ამ ცხენს სოფლად, თან მოწმობას წაიღებენ და გაჰყიდიან. არც აქ, თელავში გაყიდვას ერიდებიან. ერთი ასე გაყიდული ცხენი ეტლიდან გამოუშვეს. ვინ მოერიდება ამისთანა ცხენის სყიდვას? მოწმობა მამასახლისის ბეჭდით დიდი საბუთია მყიდველისა და გამყიდავისათვისაც.

რუისპირში შარა-გზის მახლობლად მეცხვარე აძოვებდა ცხვარს. საღამო მოტანებული იყო. მოვიდა ოთხი კაცი. ერთმა მათგანმა სტაცა ხელი საუკეთესო მოვლილს, იქვე წააქცია და მინამ მწყემსი დაიძახებდა, კაცო, რას შვრებიო, თავი ტანს მოაშორა, შემოიგდო მხარზე და გასწია აღმოსავლეთისაკენ, ცხვრის თავი იქავე დააგდო. მწყემსმა დაავლო ხელი ცხვრის თავს, დაიწყო ყვირილი, ვინ ხარ ქრისტიანიო, გამოუდგა უკან წასულებს, გზაზე ერთი ცხენიანი მედავითნე შეეყარა, უამბო, სთხოვა დახმარება და დაანახვა მიმავალი ოთხი კაცი, რომელთაგან ერთს ცხვარი ეკიდა. გამოუდგნენ უკან, მაგრამ არც მედავითნეს სიტყვამ გასჭრა. ასე მიუახლოვდნენ სოფ. კურდღელაურს. სოფლის პირში ჯაგებში ერთი იმათგანი ჩაჰსაფრებოდა მდევარს. როცა მიახლოვდნენ, დაუძახა დადექითო. დადგნენ. დაუმიზნათ თოფი, თანაც დააყოლა, დაბრუნდით, ხომ ნახეთ არ დავაგდეთ ცხვარი, რას მოგვდევთ, გინდათ სისხლში გაგხვიოთო? მედავითნემ რა თოფი დაინახა, დაბრუნდა და ესევე ურჩია მწყემსსაც. დაბრუნდნენ და წამოიღეს ცხვრის თავი უკან.

აწყურში ერთი აზნაურიშვილის სახლიდან გაიტანეს 66 ფუთი ფქვილი. ჩაზიდეს ვენახში ზურგით და მიწაზე დაგროვეს, რომ ცხენების ტვირთები დაეკეთებინათ. სახლიდან ვენახის იმ ადგილამდის, სადაც ფქვილი გაზიდეს, 200 საჟენამდე იქმნება. ფქვილის გარდა წაიღეს ძროხის ტყავი, სამი ქვაბი. მინამ ცხენების ტვირთებად დაამზადებდნენ, მეზობელ გლეხს გამოჰღვიძებოდა ხმაურობაზედ, დაიძახნა, ვინა ხართო. ქურდებს ქვაბები, ტყავი და სამი ცარიელი ტომარა გაეტაცნათ და წასულიყვნენ.

პატრონი დღესაც დაეძებს. აბა, მაშ ვინ უნდა მონახოს? ბულვარის კომიტეტს ამისათვის საკმაო ღონისძიება არა აქვს. კომიტეტს ამაზედაც დიდი მსჯელობა ჰქონდა. ბევრნაირად გადასინჯა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. თუმცა ახლა-ხან კომიტეტის მდივანმა მითხრა, რაკი ჩვენზე მოდგა მაგ საქმის გამოკვლევა, ჩვენ ყველა მაგის მიზეზს ვიძიებთ და მგონია კიდევაც მივაკვლიეთო. რადგან მიზეზთა-მიზეზით ზოგი დაჯერებულია, რომ უკანონოს გაკანონიერება შესაძლებელია და ამასთან მოთხოვნილებაც არისო.

ნადიკვრელი.

თუ მოვინდომებთ, საქმის მოწყობა ეხლა ადვილად შეიძლება. თვით ხალხს უნდა მივანდოთ ეს საქმე. მთავრობა უნდა მას დაეხმაროს ფულით, კანტროლით და სხვათი.

მ. ქ. ყიფიანი. ევროპაში საზოგადოებრივი ინიციატივა, საზოგადო ხმა და ძალა მოქმედებს ცხოვრების პირობათა გაუმჯობესების საქმეში. ჩვენში სულ სხვაა. თვით-მოქმედება ჩვენში შეკრულ-შებოჭილია. აი, ბატონებო, მაგალითი. ბორჯომის ხეობაში, სადაც მე ვცხოვრობ, ხოდერობას ეგლანი ძალიან შევშფოთდით. შიშმა მოგვისაზრებინა, შეგვედგინა ამხანაგობა ხოდერასთან საბრძოლველად. მეორე-მესამე დღეს ბოქაული დაგვადგა, არ შეიძლება მაგ ამხანაგობის შედგენაო. ჩვენც შიშისაგან მივიმალ-მოვიმალენით. განა იქ, სადაც ხალხს საშუალება არ ექმნება საკუთარის ღონით ხოდერისაგან დაიფაროს თავი, შეიძლება საზოგადო საქმეს ფეხი მოიკიდოს და ნაყოფი გამოიღოს? თავ. მიქელაძემ მშვენიერი სურათი წარმოადგინა ევროპაში საკრედიტო დაწესებულებათა განმტკიცებისა და როცა აღნიშნა ამავე დროს სამწუხარო შედეგი ჩვენებურ ამხანაგობათა, დაახლოვებით მაინც არ აღნიშნა მიზეზი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თავ. მიქელაძემაც კარგად იცის. ვიდრე ჩვენში ხალხი ბოქაულისა და მაზრის უფროსის თვალში შემაცქერალი იქმნება, მანამდე არავითარ საზოგადო საქმეს არ შეუძლიან გამაგრება.

კრება ღამის 12 საათზე დასრულდა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ხუთშაბათის წარმოდგენა საინტერესო ყველაზე უწინარეს, რასაკვირველია, ბ. მ. ქორიძის დებიუტის გამო იყო. ბ. ქორიძის (ვილლი) თამაშზე უნდა ვილაპარაკოთ არა როგორც არტისტის თამაშზე, არამედ ისეთის პირის თამაშზე, რომელიც მომავალში შეიქნება არტისტი.

დღეს ბ. ქორიძის საუკეთესო თვისებაა მშვენიერი ხმა, საუცხოვო, გარკვეული დიქცია. არამც თუ გარკვევით გესმით ყოველი სიტყვა და სიტყვის ნაწყვეტი, მისი ხმა მეტად საამო გასაგონია, და ეს თავიდანვე იზიდავს მსმენელთ. შეუმუშავებელი ხმა—ეს საერთო ნაკლულევანებაა ჩვენის აქტიორებისა და ბ. ქორიძეს დიდ ღირსებად ჩაეთვლება ამ ნაკლულევანების უქონლობა. მეორე თვისება ბ. ქორიძისა არის სასცენო გარეგნობა; მის სახეზე არ არის ალბეჭდილი ერთი უძრავი გამომეტყველება, რომელსაც ხშირად ვერავითარი გრიმი ვერ შესცვლის; მისი ტანადობა მოყვანილია, მას შეეძლება ადვილად შეითვისოს ყოველი მოძრაობა და მისცეს ძალა და რელიეფობა ამა თუ იმ მდგომარეობას. ეს ორი თვისება ისეთი რამაა, ურომლისოთ აქტიორი ვერასოდეს ვერ ამაღლდება. რაც შეეხება სულიერს თვისებებს, უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ქორიძეს სრულიად მოეპოვება ის პირობები, რომლებიც შეჰქმნიან მომავალში ნიჭიერს არტისტს: მასში არის სააქტიორო ნიჭი და ძალა, რომელსაც ესაჭიროება მხოლოდ განვითარება. ბ. ქორიძემ დაგვანახვა ხუთშაბათის თამაშით, რომ მას შეუძლია შეიმოსოს როლის სულით და ხორცით და გვაგრძნობინოს სულიერი მდგომარეობა არამც თუ ხმის ვარიაციებით, ნაზის მიმიკით და დაკვირვებულის მოძრაობით.

მაგრამ ვამბობთ, ბ. ქორიძეში არის პირობები, არის ძალა, რომელიც უნდა განვითარდეს; დღეს კი იგი სუსტია, არ არის გაშლილი. ეს ადვილად ემჩნეოდა დებიუტანტს. იგი უფრო ერთს ადგილას იდგა, ვიწრო ფარგალში მოძრაობდა, ხშირად მიმართავდა სკამსა და დივანს და ამით უნდოდა გაემრავალფეროვანებინა თავისი მოძრაობა და მდგომარეობა; თითქოს ეშინოდა, თავისუფლება მიეცა თავის სიტყვებისათვის; როდესაც მისი ლაპარაკი გესმოდათ, გრძნობდით, რომ სიტყვების იქით იმალება ძალა, რომელსაც არ მისცემია ნება მთლად გაშლილიყო სიტყვებში. აქა-იქ აქტიორი ერთსა და იმავ შეუფერებელს ტონს აიღებდა ხოლმე და ვერ ტოვებდა უსიცოცხლო ტონს, თუმცა მომავალში ეს მისთვის ადვილი იქნება. საუკეთესო ადგილი ბ. ქორიძის თამაშში იყო ის, როდესაც მამას ურიგდება: მეტად ნაზი, დაკვირვებული და ბევრის მეტყველი იყო მისი მიახლოვება მამასთან, მისი უსიტყვო გამომეტყველება უნებურად იმონებდა მაყურებლებს და გადასცემდა სავსებით აქტიორის მღელვარებას. სუსტი გამოვიდა პიესის ბოლო, მაგრამ ეს უფრო სხვა მოთამაშეებისა და რეჟისორის ბრალი იყო.

ბ. ქორიძე საზოგადოებამ ძლიერ მხურვალედ მიიღო. ჩვენც სულითა და გულით ვუერთდებით საზოგადოებას და მივესალმებით ახალგაზდა სასცენო მოღვაწეს. მხოლოდ უნდა განვიმეოროთ კიდევ: იგი ჯერ არ არის არტისტი; მას აქვს პირობები, ძალა, რომ შეიქნეს ნიჭიერი არტისტი და დაამშვენოს სამშობლო სცენა,—ისარგებლებს ამ პირობებით თუ არა, განივითარებს თავის ძალას თუ არა, ეს მის ხელთ არის, აგრეთვე ისიც დაჰკარგავს იმასაც, რაც აქვს, თუ მოიპოვებს ახალს ძალას და ღირსებას. მეტია ვუთხრათ ბ. ქორიძეს, რომ დიდი შრომა, დიდი გამოცდილება—აი, რას უნდა მიაქციოს დღეს ყურადღება.

რაც შეეხება სხვა მოთამაშეებს, უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა შარშანდელი წარმოდგენა ჯობდა, მაგრამ წელსაც კარგად იყო წარმოდგენილი „ავადმყოფი ხალხი“. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბ. გუნიამ (შოლცი). მხოლოდ სუსტი გამოუვიდა უკანასკნელი ადგილი, როდესაც ვილლის გაურბის—ნუ მცემო. ბ. მესხს (რობერტი) ხანდახან იმერული ტონი ემჩნეოდა; დარწმუნებული ვართ, მეტის დაკვირვების და მეცადინეობის შემდეგ მშვენიერად ითამაშებს ამ როლს.

„ავადმყოფი ხალხის“ შემდეგ წარმოდგენილი იყო ყოვლად უმზგავსი ფარსი „დედის ნებიერი“. ჩვენ გვიკვირს, დრამატიულ საზ. გამგეობა როგორ ვერ მიხვდა ამ პიესის ყოვლად უადგილობას ქართულ სცენაზე! ასეთი კაფეშანტანურ პიესის წარმოდგენა არ ეპატიება გამგეობას.

მ.

